



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მონონელიძე არჩილ ნიკოლოზის ძე

მონონელიძე არჩილ ნიკოლოზის ძე (დ. 25. VII. 1945, ქუთაისი), ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი. ტექნ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1987). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამშ. ფაკ-ტი (1967). 1968-იდან მუშაობდა სპი-ში ჰიდროტექნ. ნაგებობების კათედრის ასისტენტად, უფრ. მასწავლებლად, დოცენტად (1972-80), პროფესორად, კათედრის გამგედ (1990-91), პრორექტორად (1989-94), რექტორად (2006-08), აგრეთვე საქართვე. ენერგეტიკისა და ჰიდროტექნ. ნაგებობების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ნაგებობათა სეისმომდებლობის განყ-ბის უფრ. მეცნიერ თანამშრომლად (1980-86), საქართვე. ეროვნ. სამეცნ. ფონდის დირექტორად (2005-06). 2015-იდან არის სტუ-ის პროფესორი ემერიტუსი.

მ-ის სამეცნ. კვლევები ეხება ბეტონისა და გრუნტის კაშხლების სიმტკიცის ანალიზს სტატიკური და სეისმური ზემოქმედებისას. **მ**. არის სამეცნ. პუბლიკაციების ავტორი. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას. მიწვეული პროფესორის სტატუსით იმყოფებოდა აშშ-ის, კანადის, გაერთიანებული სამეფოსა და გერმანიის წამყვან უნ-ტებში.

თბზ.: Methods of Strength Analysis of Concrete Dams – Progress Pathway, Saarbrücken, 2013.
